



25/3-2/22
10-01-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ
ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის ფარგლებში მონიჭებული უფლების თანახმად,
გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ კითხვაზე:

მოგეხსენებათ, რომ 2021 წლის პირველ დეკემბერს ძალაში შევიდა ცვლილებები სისხლის სამართლის
კოდექსში, რითაც კიდევ უფრო გამკაცრდა ფსიქოტროპული ნივთიერებების ურეცეპტოდ გაყიდვა.
აღნიშნული ცვლილებების შედეგად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ შინაური ცხოველების ის
მეპატრონეები, რომელთაც როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი ეპილეფსიით დაავადებული შინაური
ცხოველების ჰყავთ და საჭიროებენ ხანგრძლივად ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობას ბინაზე.

შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია ვეტერინარულ კლინიკებს შეუძლიათ თუ არა გასცენ
ფიზიკურ პირებზე (შინაური ცხოველების საჭიროებისთვის ეპილეფსიის სამკურნალოდ) რეცეპტი
ფსიქოტროპული ნივთიერებების შესაძენად? და თუ არ, გთხოვთ განმმარტოთ, როგორ შეუძლიათ შინაური
ცხოველის მეპატრონეებს ასეთ შემთხვევაში მოიქცენ, ისე რომ არ დაარღვიონ კანონით დადგენილი ნორმები
და იმავდროულად იზრუნონ საკუთარ ცხოველებზე ხანგრძლივად ბინაზე მკურნალობით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია



22/3-2/22
10-01-2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის ფარგლებში მონიჭებული უფლების თანახმად, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ კითხვაზე:

მოგეხსენებათ, რომ 2021 წლის პირველ დეკემბერს ძალაში შევიდა ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რითაც კიდევ უფრო გამკაცრდა ფსიქოტროპული ნივთიერებების ურეცეპტოდ გაყიდვა. აღნიშნული ცვლილებების შედეგად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ შინაური ცხოველების ის მეპატრონეები, რომელთაც როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი ეპილეფსიით დაავადებული შინაური ცხოველების ჰყავთ და საჭიროებენ ხანგრძლივად ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობას ბინაზე.

შესაბამისად, გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია ვეტერინარულ კლინიკებს შეუძლიათ თუ არა გასცენ ფიზიკურ პირებზე (შინაური ცხოველების საჭიროებისთვის ეპილეფსიის სამკურნალოდ) რეცეპტი ფსიქოტროპული ნივთიერებების შესაძენად? და თუ არ, გთხოვთ განმმარტოთ, როგორ შეუძლიათ შინაური ცხოველის მეპატრონეებს ასეთ შემთხვევაში მოიქცენ, ისე რომ არ დაარღვიონ კანონით დადგენილი ნორმები და იმავდროულად იზრუნონ საკუთარ ცხოველებზე ხანგრძლივად ბინაზე მკურნალობით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/278
20/01/2022

278-09-2-202201201344



საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

განვიხილეთ თქვენი 2022 წლის 10 იანვრის N22/3-2/22 წერილი, რასთან დაკავშირებითაც, გაცნობებთ შემდეგს:

„ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის N2-107 ბრძანება არეგულირებს საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების (მათ შორის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებების) მიღების, შეძენის, გაცემის, გამოყენების, ჩამოწერისა და განადგურების სპეციალურ წესს. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენების უფლება აქვს შესაბამის ვეტერინარულ და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელ სამსახურებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამის რეესტრში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა პირებს, მათ შორის, ცხოველთა მეპატრონეებს აღნიშნული პრეპარატების გამოყენება დამოუკიდებლად არ შეუძლიათ.

რაც შეეხება ვეტერინარულ პრეპარატებზე (მათ შორის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული ნივთიერებებზე) რეცეპტის გაცემას, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხს არეგულირებს „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების

ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის #112 დადგენილება, რომელიც კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან.

ზურაბ ჩეკურაშვილი



სააგენტოს უფროსი

